



საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი
თანადგომა

თბილისი, საქართველო

წლიური ორგანიზაციული ანგარიში 2017



სარჩევი

შემოკლებები	3
თანადგომას გამგეობის თავმჯდომარისაგან	4
თანადგომას აღმასრულებელი დირექტორისაგან	6
შესავალი	7
პროგრამები და ძირითადი მიღწევები	9
შედეგები სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით	10
სტრატეგიული მიზანი 1	10
სტრატეგიული მიზანი 2	19
სტრატეგიული მიზანი 3	24
პარტნიორობა და ქსელები	25
2017 წლის ფინანსური ანგარიში	27

შემოკლებები

AFEW – შიდსის ფონდი აღმოსავლეთი-დასავლეთი

CBT – კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია

GFATM – შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი

OSF – ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

RCNF – რობერტ კარის ქსელების ფონდი

RFSU – სექსუალური განათლების შვედეთის ასოციაცია

RIVG - რეაბილიტაციის ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფებისთვის

UNAIDS – აივ/შიდსის გაეროს ერთიანი პროგრამა

UNFPA – გაეროს მოსახლეობის ფონდი

აივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

დკსჯეც – დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ლგბტ - ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი

მსმ - მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან

ნიმ - ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები

ნკტ - ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება

სგგი - სქესობრივი გზით გადამდები ინფექცია

სმ - სექს-მუშაკები

სრჯუ – სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

შიდსი - შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი

თანადგომას გამგეობის თავმჯდომარისაგან



ძვირფასო მეგობრებო,

ჩემთვის დიდი პატივია მოგმართოთ ორგანიზაციის "თანადგომა" სახელით, რომელსაც აკისრია მნიშვნელოვანი მისია - საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება. აღმასრულებელი დირექტორის ხელმძღვანელობით „თანადგომას“ თანამშრომლები ყველაფერს აკეთებენ დასახული მიზნების მისაღწევად. დღესდღეობით, შეგვიძლია კმაყოფილები ვიყოთ ორგანიზაციის მიერ გაწეული საქმიანობით და მიღწეული შედეგებით, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი ორგანიზაციის თითოეულ თანამშრომელს - პროგრამულ, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს.

ჩემი წინამორბედებისგან თქვენ მიღებული გაქვთ სრული ინფორმაცია „თანადგომას“ საქმიანობის მიმართულებების შესახებ, ამიტომაც აქ აღარ მივუბრუნდები ამ საკითხს. სასიხარულოა, რომ „თანადგომა“ კვლავ ინარჩუნებს ერთ-ერთ წამყვან პოზიციას ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მუშაობენ ჯანდაცვის საკითხებზე.

ასევე, „თანადგომა“ სარგებლობს მაღალი რეპუტაციით სამოქალაქო საზოგადოებაში, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. მინდა, ხაზი გავუსვა რამდენიმე მიმართულებას, სადაც „თანადგომამ“ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია 2017 წლის განმავლობაში:

- 2017 იყო კრიტიკული წელი ეროვნული სასწავლო გეგმების სტანდარტებში სქესობრივი განათლების საკითხების შეტანის თვალსაზრისით;
- ჩვენ შევძელით სრჯუ თემების ინტეგრირება სახელმწიფოს მიერ მოწოდებულ სერვისებში, კერძოდ, ოჯახის დაგეგმვის მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება უკვე ხორციელდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის ფარგლებში და ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფო თავშესაფრებში;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და დაამტკიცა "დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სტრატეგია 2017-2030

წლისთვის". "თანადგომამ", დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ ცენტრთან ერთად, დაგეგმა მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა აღნიშნული სტრატეგიის განსახორციელებლად.

- „თანადგომამ“ წვლილი შეიტანა სრულ თემებზე საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, კერძოდ, მოახდინა ოჯახის დაგეგმვის მეთოდების პოპულარიზაცია მედიასთან აქტიური თანამშრომლობითა და სტრატეგიული ტრენინგების ჩატარებით სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან;

- „თანადგომამ“ დაიწყო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში CBT და არტ-თერაპიის პროგრამები დამოკიდებულების მქონე პირების რეაბილიტაციისთვის.

„თანადგომას“ პერსონალისთვის პრიორიტეტულია კლიენტებისთვის მეგობრული მომსახურების გაწევა, შესაბამისი კონსულტაციების ჩატარება და, საჭიროებისამებრ, სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან ბენეფიციარების გადამისამართება. ამასთან ერთად, ორგანიზაცია ცდილობს, ხელი შეუწყოს ჯანმრთელობისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხების წინ წამოწევას პოლიტიკის შემუშავებისა და სახელმწიფო სტრუქტურების დონეზე საადვოკაციო საქმიანობისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გზით.

კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ეხმარებოდა „თანადგომას“ ფინანსურად, ემოციურად და იდეოლოგიურად. ასევე, ჩვენს დონორებსა და პარტნიორ ორგანიზაციებს, რომელთა ნდობა და მათთან თანამშრომლობა გვეხმარება, რომ უკეთესად ვიმუშავოთ საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით.

საუკეთესო სურვილებით,

მაია ჯიბუტი

გამგეობის თავმჯდომარე

თანადგომას აღმასრულებელი დირექტორისაგან



ძვირფასო კოლეგებო, პარტნიორებო და მეგობრებო,

მოხარული ვარ, წარმოგიდგინოთ „თანადგომა“ 2017 წლის წლიური ანგარიში. ეს დოკუმენტი მოიცავს ორგანიზაციის სამივე სტრატეგიული პრიორიტეტს და ფარავს 2017-2019 წლის სტრატეგიული გეგმის პირველ წელიწადს. იმედი მაქვს, რომ ამ წელიწადში განხორციელებული საქმიანობა მყარი საფუძველი იქნება ჩვენი ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისა და წარმატებისთვის.

2017 წელს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, ისევე, როგორც მთელ რეგიონში (აღმოსავლეთ ევროპა და ცენტრალური აზია), შემცირებულია ფონდების მოძიების შესაძლებლობები, „თანადგომამ“ შეძლო, გაეგრძელებინა მუშაობა თავის ყველა პროგრამულ მიმართულებაზე. გარდა ამისა, 2017 წელს მოხდა ორგანიზაციული ცვლილებები, როგორიცაა ახალი გამგეობის არჩევა. სასიხარულოა, რომ ყოველწლიურად ჩვენ ვზრდით ჩვენი ორგანიზაციის ხილვადობას სრჯუ სფეროში და ამ მიმართულებით ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე ვართ არასამთავრობო სექტორში. თუმცა, კიდევ არსებობს სივრცე შემდგომი გაძლიერებისა და განვითარებისთვის უფრო მდგრადი შედეგების მისაღწევად.

მინდა მაღლობა გადავუხადო ჩვენს თანამშრომლებს, მოხალისეებს, მხარდამჭერებს, პარტნიორებს, დონორებს, ასევე გამგეობისა და ასოციაციის წევრებს. მათი მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე, „თანადგომა“ ვერ შეძლებდა, ემუშავა წარმატებულად თავისი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. იმედია, ასეთ შთაგონებას მომავალშიც შევინარჩუნებთ!

ნინო წერეთელი
აღმასრულებელი დირექტორი

შესავალი

2000 წლიდან, ჩვენი დაარსების დღიდან, „თანადგომა“ თავისი ცოდნითა და გამოცდილებით ცდილობს, გააუმჯობესოს ადამიანების ცხოვრება. ჩვენ ვცდილობთ ჩვენი სტრატეგიული მიზნების მიღწევას როგორც სერვისების მიწოდებით, ასევე ადვოკატირებისა და ექსპერტიზის გაძლიერების გზით. „თანადგომა“ არის ორგანიზაცია მეტად საინტერესო, მდიდარი წარსულითა და მზარდი სამომავლო პერსპექტივებით.

„თანადგომას“ ხედვაა ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელი საზოგადოება, სადაც დაცულია ადამიანთა ჯანმრთელობის უფლება, განათლების სისტემაში დანერგილია სქესობრივი აღზრდა, მოქალაქეებს ხელი მიუწვდებათ ეფექტური რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებაზე, შესაბამისად ნაკლებად ვრცელდება ინფექციური დაავადებები, მცირდება აბორტების რიცხვი, მაღალია ოჯახის დაგეგმვის მეთოდების გამოყენება, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სარისკო პოპულაციებს, შესაბამისად ნაკლებია ამ საკითხებთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემები და ასევე ფართოდ დანერგილია ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისები.

ამ ხედვის რეალიზების მიზნით, ასოციაციის „თანადგომა“ მისიაა საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება პრევენციული, საგანმანათლებლო, დიაგნოსტიკური და სარეაბილიტაციო სერვისების განხორციელებისა და მათი ადვოკაციის გზით. ასევე, „თანადგომა“ უზრუნველყოფს შესაბამისი ორგანიზაციების, თემების და სხვა დაინტერესებული პირების შესაძლებლობების განვითარებას.

„თანადგომა“ იზიარებს და საქმიანობებს ახორციელებს შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

- ყველა ადამიანი თანასწორია მიუხედავად რასის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილებისა;
- გენდერული აქცენტები, ადამიანის უფლებები და არადისკრიმინაციული მიდგომები გამჭოლი თემებია ორგანიზაციის მუშოებაში.

„თანადგომა“ მუშაობს მთელი ქვეყნის მასშტაბით. თანადგომას სერვისები ხელმისაწვდომია რეპროდუქციული ასაკის ზოგადი მოსახლეობისათვის, მაგრამ ორგანიზაცია განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს და პროაქტიულ პროგრამებს შეიმუშავებს ქალებისათვის და რისკის ქვეშ მყოფი, მოწყვლადი ჯგუფებისთვის (სარისკო პოპულაციებისათვის): მამაკაცები, რომელთაც სექსი აქვთ მამაკაცებთან - მსმ, ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები - ნიმ, სექს-მუშაკები - სმ, ახალგაზრდები, პატიმრები, ლგბტ თემი, ტრეფიკინგის მსხვერპლნი, ადამიანები, რომელთაც შეეხოთ აივ/შიდსი, იძულებით ადგილნაცვალი პირები და სხვ.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია „თანადგომას“ 2017 წლის აქტივობებისა და ფინანსების მიმოხილვა. ანგარიში აგებულია 2017-2019 წლების სტრატეგიული

განვითარების გეგმის მიხედვით. სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში „თანადგომამ“ გაიარა კონსულტაციები სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებთან, ასევე რამდენიმე ძირითად დაინტერესებულ მხარესთან, რათა უზრუნველყო სტრატეგიული გეგმის შესაბამისობა არსებულ გარემოსა და მოთხოვნებთან. ასევე, რომ მომხდარიყო ამ გეგმის თავსებადობა ქვეყანაში მიმდინარე პროგრამებთან და დაფინასების მოდელებთან. მიმდინარე სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულ იქნა „თანადგომას“ საერთო კრების მიერ 2016 წლის 19 ივლისს.

პროგრამები და ძირითადი მიღწევები

2017-2019 წლების სტრატეგიული გეგმის მიხედვით, „თანადგომა“ აქვს 3 სტრატეგიული პრიორიტეტი (მიმართულება):

- 1) სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები (სრჯუ);
- 2) ფსიქიკური ჯანმრთელობა;
- 3) ორგანიზაციული განვითარება.

2017 წელს, პირველი ორი პრიორიტეტის ფარგლებში, „თანადგომა“ ახორციელებდა 15 სხვადასხვა პროექტს შემდეგი დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით: RFSU, ევროკავშირი (3 სხვადასხვა პროექტი), Caritas Czech, Caritas Tirol, GFATM (4 სხვადასხვა პროექტი, მათ შორის 1 რეგიონული), OSF, UNFPA, AFEW, Solidarite SIDA, RCNF.

ორგანიზაციის 2017 წლის ძირითადი მიღწევები ასეთია:

- სერვისების სახეების, სამიზნე ჯგუფების რაოდენობისა და გეოგრაფიული მოცვის შენარჩუნება სრჯუ პროგრამის ფარგლებში; საერთო ჯამში „თანადგომა“ მოემსახურა 14847 ბენეფიციარს;
- აქტიური მონაწილეობა საქართველოში ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ განათლების დანერგვის პროცესებში;
- სრჯუ საკითხების ადვოკაციის გაძლიერება ეროვნულ დონეზე;
- მასმედიასთან თანამშრომლობა სრჯუ და ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე, შემუშავებული კომუნიკაციის სტრატეგიის მიხედვით;
- 3 ვიდეორგოლის შექმნა ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე, რომლებსაც ჰქონდა 600 000 მეტი ნახვა სოციალურ მედიაში;
- ქალებისთვის განკუთვნილი მობილური ტელეფონის აპლიკაციის „ჩემი კალენდარი“ ჩამოტვირთვების მაღალი მაჩვენებლები;
- გენდერული ძალადობის საკითხებზე მიზანმიმართული მუშაობის გაგრძელება მოწყვლად ჯგუფებში, როგორცაა ქალი სმ-ები და ქალი ნიმ-ები;
- სარეაბილიტაციო ცენტრის რეკონსტრუქცია-რემონტი დასრულებულია და ცენტრი ფუნქციონირებს;
- ორგანიზაციული განვითარებისთვის საჭირო პროცედურებისა და რეგულაციების შემუშავება.

შედეგები სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

სტრატეგიული მიზანი 1

საქართველოში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხების წინ წამოწევის ხელშეწყობა

ამოცანები

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ადვოკაცია როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე

„თანადგომა“ ინარჩუნებს პარტნიორობას სრჯუ პლატფორმასთან, რომელიც შეიქმნა ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალურ პერიოდულ განხილვამდე, 2015 წელს. ეს პარტნიორობა გრძელდება პლატფორმის შეხვედრებში აქტიური მონაწილეობით. „თანადგომასთან“ ერთად, შემდეგი ორგანიზაციები არიან პლატფორმის წევრები: ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), ჰერა XXI და „თანასწორობის მოძრაობა“ (ყოფილი „იდენტობა“). 2018 წლის მაისში საქართველო შუალედურ ანგარიშს წარუდგენს ადამიანის უფლებათა საბჭოს, შესაბამისად, პლატფორმაც ამავე პერიოდში აპირებს თავისი შუალედური ანგარიშის მომზადებას. ამ პროცესისთვის მზადება უკვე დაიწყო 2017 წელს.

ერთ-ერთი საადვოკაციო ინიციატივა, რომელიც „თანადგომამ“ 2017 წელს განახორციელა, უკავშირდება აივ ინფექციის პრევენციის სტანდარტების შემუშავებას (სახელმძღვანელოები, პროტოკოლები და განფასება) სარისკო პოპულაციებისათვის (სმ-ები და მსმ-ები). ეს სტანდარტები მიზნად ისახავს ამ პოპულაციებისათვის მომსახურების მინიმალური ხარისხის შენარჩუნებას მას შემდეგ, რაც გლობალური ფონდი გავა საქართველოდან და სერვისების დაფინანსება სახელმწიფო სახსრებით მოხდება. სტანდარტებზე მუშაობა დასრულდა და 2018 წელს ისინი დასამტკიცებლად გადაიგზავნება ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებში. ამასთან ერთად, შემუშავდა სასწავლო-სატრენინგო მოდული იმ პროფესიონალების მოსამზადებლად, რომლებიც განახორციელებენ ამ სტანდარტებით გათვალისწინებულ პრევენციულ სერვისებს.

„თანადგომამ“ განაგრძო სრჯუ საკითხების ჩართვა სახელმწიფოში არსებული სხვადასხვა მომსახურებებში. 2017 წლის განმავლობაში ორგანიზაციამ შეიმუშავა ოჯახის დაგეგმვის საინფორმაციო მოდულები, გაწვრთნა შესაბამისი პერსონალი და გადასცა მოდულები: ა) ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებას, რათა მოხდეს პატიმრების გათავისუფლებისთვის მზადების პროცესში ამ მოდულების გამოყენება; ბ) ძალადობის მსხვერპლ ქალთა სახელმწიფო თავშესაფრებს.

სრჯუ ადვოკაციისთვის მედიასთან თანამშრომლობა 2017 წელს მოიცავდა 8 სატელევიზიო გადაცემას პოპულარულ ტელეარხებზე ("იმედი", "რუსთავი 2").

გადაცემები მიემდგვნა სხვადასხვა სრულ თემებს, როგორცაა: გარდატეხის ასაკი, კონტრაცეფცია, „თანადგომას“ შექმნილი მობილური აპლიკაცია ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე, აივ/შიდსი და სგგი, მოზარდებთან მუშაობა და ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება.



„თანადგომას“ და RFSU-ს წარმომადგენლები ესწრებიან შეხვედრას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. შეხვედრა ეძღვნება განათლების სფეროში საქართველო-ესტონეთის პარტნიორობას.

თანამშრომლობა სახელმწიფო და არასამთავრობო დაინტერესებულ პირებთან საქართველოს განათლების სისტემაში ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების ინკორპორირების ხელშეწყობის მიზნით

2017 წლის განმავლობაში „თანადგომამ“ განაგრძო თანამშრომლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. „თანადგომას“ და სამინისტროს ექსპერტებმა მიმოიხილეს ჯანსაღი ცხოვრების წესისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სასწავლო გეგმა სკოლის დაწყებით საფეხურზე და 2017 წლის ბოლოსთვის შეიქმნა პოლიტიკის საბოლოო დოკუმენტი.

„თანადგომას“ ექსპერტები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო პროგრამების დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ჩართულები იყვნენ საგნების "ბიოლოგია" და "სამოქალაქო განათლება" სტანდარტის განხილვაში სკოლის დაწყებითი საფეხურისთვის. „თანადგომას“ გუნდმა წვლილი შეიტანა ამ საგნებში ცხოვრების ჯანსაღი წესის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების ინტეგრირებაში. სტანდარტის საბოლოო ვერსია შემუშავდა და გადაეცა სამინისტროს შემდგომი დამტკიცებისათვის.

ასევე, 2017 წელს, „თანადგომას“ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლებმა განახორციელეს სამოქალაქო განათლების დაწყებითი საფეხურის სტანდარტების პილოტირების პროგრამა. პილოტირება მოიცავდა სამინისტროსგან ნებართვის აღებას, სკოლების შერჩევას, სცენარის შექმნას 12 გაკვეთილის ჩასატარებლად, შერჩეული სკოლების პედაგოგების ტრენინგს და პილოტური გაკვეთილების მონიტორინგსა და შეფასებას. პილოტური პროექტი წარმატებით განხორციელდა. შემაჯამებელ ღონისძიებას დაესწრნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ინფორმაცია ღონისძიების შესახებ გამოქვეყნდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე.

2017 წელს „თანადგომას“ ექსპერტებმა შეიმუშავეს სასწავლო-სატრენინგო მოდული, რომლის მიზანია რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე მასწავლებლების მომზადება და ამ საკითხებზე მათი ახალგაზრდებთან მუშაობის უნარ-ჩვევების გაძლიერება. ამჟამად „თანადგომა“ გადის კონსულტაციებს სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის თანამშრომლებთან ამ სატრენინგო კურსის ფორმატისა და დაწყების დროსთან დაკავშირებით.

2017 წელს, ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლების ხელშეწყობის მიზნით მედიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, „თანადგომას“ ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღეს 4 სატელევიზიო და რადიო გადაცემაში. ასევე, „თანადგომა“ აგრძელებდა საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების ჩატარებას სკოლების ადმინისტრაციებთან, მასწავლებლებთან და ჟურნალისტებთან სრჯუ და ჯანსაღი ცხოვრების წესის საკითხებზე.

„თანადგომამ“ მონაწილეობა მიიღო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კამპანიაში ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობისთვის. ორგანიზაციამ მიიღო სერტიფიკატი და სპეციალური ჯილდო ამ საქმეში შეტანილი წვლილისთვის.



სგგი-ის, აივ/შიდსის, ტუბერკულოზის, ვირუსული ჰეპატიტების და რეპროდუქციული სისტემის ონკოლოგიური დაავადებების პრევენცია მოწყვლად პოპულაციებში


გეოგრაფიული მოცვა შენარჩუნებულია 5 ქალაქში და სგგი/აივ/ტუბერკულოზის სერვისები მიეწოდება ყველა სარისკო პოპულაციას (ისევე, როგორც 2014, 2015 და 2016 წლებში). 2017 წელს განხორციელებული პრევენციული პროგრამის ძირითადი რაოდენობრივი შედეგებია:

- 5950 მსმ მოცულია კონსულტირებითა და აივ/სგგი-ზე და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ინფორმაციის მიწოდებით; 2291 მსმ-მა მიიღო ნკტ სერვისი, ასევე სხვადასხვა სგგი-ზე მკურნალობა ჩაუტარდა 882 მსმ-ს; 175 მსმ-მა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებსა და საგანმანათლებლო შეხვედრებში. გარდა ამისა, 37 აივ დადებითმა მსმ-მა მიიღო მონაწილეობა ტრენინგებსა და CBT კურსში. 1129 მსმ იქნა მოცული ტუბერკულოზზე სკრინინგით.
- 3367 სექს-მუშაკი მოცულია კონსულტირებითა და აივ/სგგი-იზე და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ინფორმაციის მიწოდებით; 2610 სექს-მუშაკმა მიიღო ნკტ და 720-მა - სგგი სერვისები; 290 სექს-მუშაკი მონაწილეობდა სხვადასხვა ტრენინგში. 1684 სექს-მუშაკი იქნა მოცული ტუბერკულოზზე სკრინინგით.
- 10191 საინფორმაციო მასალა გავრცელდა მსმ-ებს, სმ-ებს და პატიმრებს შორის.
- 328030 კონდომი და 22700 ლუბრიკანტი გავრცელდა მსმ-ებსა და სმ-ებში.
- 5544 პატიმარმა მიიღო ნკტ სერვისი. 87 მსმ და ნარკომომხმარებელი იყო მოცული ციხეებში ტრენინგებისა და საინფორმაციო-საგანმანათლებლო სესიების მეშვეობით აივ/სგგი/ჰეპატიტების თემაზე. 32 პატიმარი დატრენინგდა, როგორც თანასწორგანმანათლებელი.


რეპროდუქციული სისტემის კიბოს პრევენციაზე მიმართული ცნობიერების ამაღლების კამპანია ჩატარდა სამეგრელოს რეგიონში, კერძოდ, ზუგდიდის რაიონის სოფლებში. 501 ქალი იქნა მოცული საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებით. საგანმანათლებლო შეხვედრების დროს მოხდა ასევე ზუგდიდში ახლად გახსნილი სკრინინგული ცენტრის შესახებ ინფორმაციის გავრცელება რეპროდუქციული ასაკის ქალებს შორის.

„თანადგომამ“ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღო შიდსის მსოფლიო დღისადმი და შიდსით დაღუპულთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. ამ ღონისძიებების მთავარი სამიზნე იყო ახალგაზრდები, რომლებსაც მიეწოდათ აივ პრევენციისთვის საჭირო და სტიგმის საწინააღმდეგო გზავნილები. აღნიშნული ღონისძიებების მონაწილეებს, როგორც ახალგაზრდებს, ასევე სხვა მოწვეულ სტუმრებს, შეთავაზეს ასევე აივ ტესტირება.

2017 წელს ბაზისური (მინიმალური) პრევენციული პაკეტით
მოცული ინდივიდები სარისკო პოპულაციებიდან



2017 წელს ჩატარებული ნკტ



ბენეფიციარების მოცვა სერვისებით (ბაზისური პაკეტი)

მსმ ითვლება მოცულად აივ-პრევენციული პროგრამებით, თუ მან მიიღო სულ მცირე 2 სერვისი ბაზისური პაკეტიდან (კონდომებისა და ლუბრიკანტების მიწოდება, კონსულტირება და საინფორმაციო მასალები) და მათგან ერთი უნდა იყოს კონდომი - სულ მცირე ერთხელ 6 თვის განმავლობაში. კლიენტების მონაწილეობა საინფორმაციო ღონისძიებებში აივ/შიდსისა და უსაფრთხო ქცევის თემაზე განიხილება, როგორც კონსულტირება. დამატებით ბენეფიციარებმა შეიძლება მიიღონ სხვა სერვისებიც (აივ, სგვი, გადამისამართება სხვა სპეციალისტთან და ა.შ.), კლიენტის საჭიროებებიდან გამომდინარე.

სექს-მუშაკი ითვლება მოცულად აივ-პრევენციული პროგრამებით, თუ მან მიიღო სულ მცირე 2 სერვისი ბაზისური პაკეტიდან (კონდომების მიწოდება, კონსულტირება და საინფორმაციო მასალები) და მათგან ერთი უნდა იყოს კონდომი - სულ მცირე ერთხელ 6 თვის განმავლობაში. კლიენტების მონაწილეობა საინფორმაციო ღონისძიებებში აივ/შიდსისა და უსაფრთხო ქცევის თემაზე განიხილება, როგორც კონსულტირება. დამატებით ბენეფიციარებმა შეიძლება მიიღონ სხვა სერვისებიც (აივ, სგვი, გადამისამართება სხვა სპეციალისტთან და ა.შ.), კლიენტის საჭიროებებიდან გამომდინარე.

ბენეფიციარების მოცვა ნკტ-თი

მსმ-ები და სექს-მუშაკები ნკტ-თი მოცულად ითვლებიან, თუ მათ მიიღეს ტესტირების შემდგომი კონსულტირება.

ოჯახის დაგეგმვის პოპულარიზაცია

ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად მომზადდა სამი ანიმაციური ვიდეო გენდერზე, რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და, ასევე, მობილური აპლიკაცია "ჩემი კალენდარი". ვიდეოები გაშვებულ იქნა ცენტრალურ სატელევიზიო არხებზე სოციალურ რეკლამების სახით. გარდა ამისა, სამივე ვიდეორგოლი დაიდო Facebook-ის რეპროდუქციული ჯანმრთელობის გვერდზე, სადაც დაფიქსირდა ვიდეორგოლების 691 000 ნახვა. 2017 წლის განმავლობაში შეინიშნებოდა ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე ქალებისათვის შექმნილი მობილური ტელეფონის პირველი ქართულენოვანი აპლიკაციის აქტიური მოხმარება, წლის ბოლოსთვის დაფიქსირდა აპლიკაციის 1765 ჩამოტვირთვა iTunes-იდან და 6000 ჩამოტვირთვა Google Play-იდან.

„თანადგომას“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა 2017 წლისთვის იყო სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა, განსაკუთრებით ეროვნულ დონეზე სრულ სტრატეგიებისა და პროგრამების დაგეგმარების მიმართულებით. 2017 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა "დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ეროვნული სტრატეგია 2017-2030 წლისთვის", ასევე სტრატეგიის ფარგლებში სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის. გეგმის დამტკიცებამდე „თანადგომამ“ აქტიური მონაწილეობა მიიღო დისკუსიებსა და კონსულტაციებში. გეგმის დამტკიცების შემდეგ კი დაიწყო თანამშრომლობა დეკჯექ-თან, რომელიც სამოქმედო გეგმის მთავარი განმახორციელებელია. „თანადგომამ“ ასევე აწარმოა მოლაპარაკებები ჯანდაცვის

მინისტრის მოადგილესთან იმასთან დაკავშირებით, თუ გეგმის რა ნაწილი მოითხოვდა სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო სექტორის ჩართულობასა და მხარდაჭერას. გადაწყდა, რომ „თანადგომა“ დახმარებას გაუწევს დკსჯეც-ს სამოქმედო გეგმის საკომუნიკაციო სტრატეგიის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ეს საქმიანობა განხორციელდება 2018 წელს.

2017 წელს, ოჯახის დაგეგმვის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში შემუშავებული კომუნიკაციის სტრატეგიის მიხედვით, „თანადგომას“ ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღეს პოპულარულ 4 სატელევიზიო შოუში („იმედი“, „რუსთავი2“, „იბერია“, „კავკასია“) და გამოაქვეყნეს 4 სტატია სხვადასხვა პოპულარულ ჟურნალებში შემდეგ თემებზე: მოზარდობა, კონტრაცეფცია, ადრეული ქორწინება, მამაკაცთა ჩართულობა ოჯახის დაგეგმვის საკითხებში და მობილური აპლიკაცია „ჩემი კალენდარი“. ამავე სტრატეგიაზე დაყრდნობით, "თანადგომამ" ჩაატარა ჟურნალისტებისთვის 2 ტრენინგი მედიაში სრულ საკითხების გაშუქების საკითხებზე.



დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის 2017-2030 სახელმწიფო სტრატეგიის განხილვისას



მედიის წარმომადგენელთა ტრენინგი სრულ საკითხებზე

გენდერული ძალადობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა მოწყვლადი ქალებისათვის საქართველოში

2017 წლის განმავლობაში, გენდერული ძალადობის თემები და მოწყვლადი ქალების დისკრიმინაციის აღმოფხვრის თემატიკა დაფარული იყო სამი მიმდინარე პროექტით, მათ შორის 2 პროექტი დაფინანსდა ევროკავშირის მიერ.

პროექტის "მოწყვლადი ქალების გაძლიერება დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით" ფარგლებში, „თანადგომამ“ აქცენტი გააკეთა მოწყვლადი ქალების (სმ-ები და ნიმ-ები) სპეციალურ საჭიროებებზე და სერვისებზე. მათთვის სერვისების მიწოდება ხორციელდებოდა „თანადგომას“ სოციალური ბიუროების მეშვეობით თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. თითოეული ქალაქში შეიქმნა პოტენციური სერვისის მიმწოდებლების ქსელები, რათა სამიზნე ჯგუფებს გაადვილებოდათ ამ სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა და მათი გამოყენება. სულ 374 ბენეფიციარმა მიიღო სხვადასხვა სახის მომსახურება:

- 368 მოწყვლადმა ქალმა მიიღო ფსიქოლოგიური კონსულტირება ძალადობისა და დისკრიმინაციის საკითხებზე;
- ფსიქოლოგიურ დახმარებასთან ერთად, 328 ბენეფიციარს ჩაუტარდა აივ-ზე ტესტირება, 316 - C ჰეპატიტზე და 313 ბენეფიციარს - B ჰეპატიტზე;
- 66 მოწყვლადმა ქალმა მიიღო იურიდიული კონსულტაცია;
- 294 ქალი გადამისამართდა სხვა დაწესებულებებში მათი საჭიროებების მიხედვით (ტუბერკულოზის დიაგნოსტიკური ცენტრები, შიდსის ცენტრი, ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპია, წამალთდამოკიდებულების კლინიკა და სხვ.).

გენდერული ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოლოგიური დახმარების გაწევას ითვალისწინებდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი კიდევ ერთი პროექტი, რომელსაც ახორციელებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „თანადგომასთან“ პარტნიორობით. მომსახურების გაწევა ხორციელდება საქართველოს 5 ქალაქში, ყველგან, სადაც არსებობს „თანადგომას“ ოფისები.

მომსახურების გაწევასთან ერთად, „თანადგომა“ მუშაობდა მოწყვლადი ქალების შესაძლებლობების განვითარებასა და მათ მობილიზებაზე, რათა უფრო ეფექტურად მოხდეს მათი უფლებების დაცვა ადვოკაციის გზით. ქალებს ჩაუტარდათ ტრენინგი ლიდერობისა და სათემო მობილიზაციის შესახებ, ასევე კომუნიკაციის უნარ-ჩვევებზე. 2018 წელს დაგეგმილია მეტი ტრენინგი მოწყვლადი ქალებისთვის ფონდების მოძიებაზე, ადვოკაციასა და სტრატეგიულ დაგეგმარებაზე. ეს საბოლოო ჯამში გამოიწვევს მოწყვლადი ქალების მონაწილეობის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ასევე, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან დაცვისკენ მიმართული სერვისების მონიტორინგის პროცესში.

ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებში სათემო და სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის

„თანადგომამ“ გააგრძელა აქტიური თანამშრომლობა გაეროს მოსახლეობის ფონდთან, როგორც მისმა სტრატეგიულმა პარტნიორმა აივ ინფექცია/შიდსისა და სრულ პროგრამების მხარდასაჭერად სარისკო ქცევის მქონე ახალგაზრდებში. ლგბტ, აივ დადებითი, სმ-ების სათემო ორგანიზაციების 82 წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში, რომლებიც მიზნად ისახავდა სათემო ორგანიზაციების უნარების გაძლიერებას და სათემო, სერვისის მიმწოდებელ და სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, „თანადგომას“ მხარდაჭერითა და ორგანიზებით, გლობალური ფონდის რეგიონული პროექტის „დაჩქარებული პასუხი აივ/შიდსზე და ტუბერკულოზზე აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქალაქებში“ მოხდა ლგბტ, სმ, ნიმ სათემო ორგანიზაციების მობილიზება და საერთო საადვოკაციო პლატფორმის შექმნა ქ. თბილისის დონეზე. ჩამოყალიბდა საქალაქო სამუშაო ჯგუფი, რომელშიც სათემო ორგანიზაციების გარდა გაწევრიანდნენ სახელმწიფო და სხვა არასამთავრობო

ორგანიზაციების წარმომადგენლები. 2017 წელს შემუშავდა საქალაქო სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, რომელიც დაფუძნებულია სათემო საჭიროებებსა და მოთხოვნებზე. გეგმის შემდგომი განხილვა და დამტკიცება დაგეგმილია 2018 წელს.

2017 წლის განმავლობაში, ფრანგული დონორის Solidarite Sida-ს დახმარებით, „თანადგომა“ ატარებდა სამუშაო შეხვედრებს და მრგვალ მაგიდებს ლგბტ თემის წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანი იყო ორგანიზაციული უნარების გაძლიერება და აივ/შიდსის, სგვი-ს და ვირუსული ჰეპატიტების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

„თანადგომას“ აქვს ბავშვთა ზრუნვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან სრულ სფეროში თანამშრომლობის გამოცდილება. 2017 წელს ამ სფეროში მომუშავე სამმა არასამთავრობო ორგანიზაციამ - "საქართველოს კარიტასი", "SOS ბავშვთა სოფელი" და "ბავშვი და გარემო" - სთხოვეს „თანადგომას“ რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ტექნიკური დახმარების გაწევა. „თანადგომას“ ექსპერტებმა სამივე ორგანიზაციის პერსონალს ჩაუტარეს ტრენინგები სრულ საკითხებზე.

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევების ჩატარება

2017 წლის განმავლობაში „თანადგომამ“ რამდენიმე ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევა ჩაატარა სამიზნე პოპულაციებში. კვლევები ეხებოდა როგორც საჭიროებების შეფასებას, ასევე საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვას:

ა) 2017 წელს, გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში, „თანადგომამ“ ჩაატარა სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებთან დაკავშირებული ქცევებისა და დამოკიდებულებების კვლევა მსმ-ებში. ხარისხობრივი კვლევა ჩატარდა 5 ქალაქში და სულ მოიცავდა 25 ჩაღრმავებულ ინტერვიუს. კვლევის ანგარიში დონორთან იყო გაზიარებული და გამოყენებულ იქნა მსმ-ებს შორის პრევენციის პროგრამების დაგეგმვის გაუმჯობესებისათვის.

ბ) მეორე კვლევა შეეხებოდა ლგბტ და სმ ქალთა, მათ შორის ტრანსი სექს-მუშაკების, უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობის ანალიზს საქართველოში. აღნიშნული დოკუმენტი შეიქმნა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის “ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა” ფარგლებში. კვლევის შედეგები წარდგენილი იქნა იმავე სფეროში მომუშავე ორგანიზაციების ფართო აუდიტორიისთვის.

გ) კიდევ ერთი კვლევა, რომელიც „თანადგომამ“ განახორციელა საერთაშორისო ფონდ კურაციოსთან ერთად, არის ქცევაზე ზედამხედველობის და პოპულაციის ზომის შეფასების კვლევა სექს-მუშაკებს შორის თბილისსა და ბათუმში. კვლევა ჩატარდა აივ/შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. კვლევის ანგარიში გაზიარებული იქნა დაინტერესებულ მხარეებთან და პარტნიორებთან. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია

გამოყენებული იქნება აივ პრევენციის პროგრამების წარმატების გაზომვისთვის, აგრეთვე UNAIDS- ის შიდსის გლობალური მონიტორინგის პროგრამაში ანგარიშგებისათვის.

დ) 2017 წლის ბოლოს „თანადგომამ“, არასამთავრობო ორგანიზაცია "ალტერნატივა ჯორჯიასთან" პარტნიორობით, დაიწყო დისკრიმინაციისა და ძალადობის კვლევა სმ და ნიმ ქალებში. ეს კვლევა ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "მოწყვლადი ქალების გაძლიერება დისკრიმინაციის დასაძლევად" ფარგლებში. კვლევის ანალიზი, ანგარიშის მომზადება და გავრცელება 2018 წელს არის დაგეგმილი.

სტრატეგიული მიზანი 2

ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სერვისების უკეთესი ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა მოწყვლადი პოპულაციებისათვის

ამოცანები

მდგრადი და რეგულარული ფსიქოსოციალური სერვისების უზრუნველყოფა მოწყვლადი პოპულაციებისთვის


2016 წელს "თანადგომამ" შეძლო სოციალური საწარმო "TG Promo"-ს დაფინანსება, ასევე გრემის სარეაბილიტაციო ცენტრისთვის დამატებითი დაფინანსების მოძიება. ორგანიზაციის ეს განყოფილებები განაგრძობდნენ ფუნქციონირებას 2017 წელს. წლის მანძილზე სოციალურმა საწარმომ მიიღო 27 სხვადასხვა შეკვეთა როგორც ორგანიზაციებისგან, ასევე კერძო პირებისგან. საერთო ჯამში, TG Promo-ში დასაქმდა 7 ბენეფიციარი (ნარკოტიკების მოხმარების გამოცდილებით); გრემის სარეაბილიტაციო ცენტრში 12 ბენეფიციარმა გაიარა და დაასრულა რეაბილიტაციის კურსი (სარეაბილიტაციო კურსის მინიმალური ხანგრძლივობა - 1 თვე, მაქსიმალური - 3 თვე).



გრემის სარეაბილიტაციო ცენტრის რეკონსტრუქციის სხვადასხვა ეტაპები

2017 წლის განმავლობაში, „თანადგომას“ ოთხმა სოციალურმა ბიურომ 4 ქალაქში მიაწოდა უფასო ფსიქოსოციალური და სამედიცინო სერვისები პატიმრებს, ყოფილ პატიმრებს, პრობაციონერებს და ნიმ-ებს. სულ, წლის განმავლობაში „თანადგომას“ სოციალურმა ბიუროებმა 814 ბენეფიციარს მიაწოდეს 4890 სერვისი, მათგან 2785 - სამედიცინო სახის, 513 - ფსიქოლოგიური სახის, 1397 - სოციალური და 195 - იურიდიული სახის სერვისები.

2017 წელს „თანადგომამ“ თავის საქმიანობას დაამატა რამდენიმე ახალი ტიპის სარეაბილიტაციო მომსახურება, კერძოდ, არტ თერაპია - თიხაზე მუშაობა და ხატვა. არტ თერაპია დაინერგა არა მხოლოდ „თანადგომას“ სოციალური ბიუროებში, არამედ სარეაბილიტაციო ცენტრშიც. „თანადგომამ“ უკვე მიიღო მონაწილეობა სოციალური საწარმოების გამოფენაში, სადაც წარმოადგინა თავისი სოციალური საწარმოს პროდუქცია და არტ თერაპიის დროს შექმნილ პროდუქტები.



კიდევ ერთი სამიზნე პოპულაცია, მოცული ამ ამოცანის ფარგლებში, არის აივ დადებითი მსმ-ები. მათთვის „თანადგომას“ ექსპერტებმა შეიმუშავეს 10-კვირიანი CBT კურსი და 37-მა აივ დადებითმა მსმ-მა გაიარა ეს კურსი. გარდა ამისა, მათ მიიღეს ინდივიდუალური ფსიქოლოგიური კონსულტირება და მხარდაჭერა.



TG Promo -ს ბენეფიციარი იღებს წითელი ლენტის სერტიფიკატს



TG Promo-ს პროდუქციის გამოფენა 1 დეკემბერს

მდგრადი და რეგულარული ფსიქოსოციალური სერვისების ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა მოწყვლადი პოპულაციებისათვის

2017 წელს „თანადგომამ“ შეძლო სასჯელაღსრულების სისტემაში გარკვეული სერვისების ინსტიტუციონალიზაცია და ზოგიერთი არსებული სერვისის გაფართოება. „თანადგომას“ მხარდაჭერით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, არტ თერაპიის კურსები (თიხა) დაინერგა ორ ქართულ ციხეში. ამავდროულად, CBT კურსები ნარკოტიკების მომხმარებელთა პატიმრებისთვის, რომლებიც ადრე იქნა დანერგილი ციხეებში, კიდევ უფრო წარმატებული და მოთხოვნადი გახდა. შესაბამისად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა გადაწყვიტა ეს კურსები განევრცო ოთხ სხვა ციხეში, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში (ქუთაისი, ბათუმი). იმისთვის, რომ CBT კურსის დამოუკიდებლად გაძლოა შეძლებოდათ, ციხის პერსონალის რვა ფსიქოლოგმა გაიარა სპეციალური ტრენინგი. ყოველივე ამან ხელი შეუწყო „თანადგომას“ მიერ დასახული ამოცანის მიღწევას, კერძოდ, ფსიქოსოციალური სერვისების ინსტიტუციონალიზაციას და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის პერსონალის უნარ-ჩვევების გაძლიერებას.



თიხის წარმოება არტ თერაპიის კლასში

ნარკოკანონმდებლობის ცვლილებაში და საქართველოში ნარკომომხმარებლების მიმართ სტიგმის შემცირებაში წვლილის შეტანა

2017 წლის განმავლობაში, „თანადგომა“, როგორც ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის წევრი, მონაწილეობას იღებდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში და პლატფორმის მიერ მოწყობილ გარკვეულ ღონისძიებებში. აგრეთვე, ციხეების სამედიცინო პერსონალის სენსიტიზაციის მიზნით, თანადგომამ ჩაატარა სამი ტრენინგი ნარკოტიკების მოხმარებისა და მასთან დაკავშირებული სტიგმის საკითხებზე.



„თანადგომა“ უერთდება კამპანიას „უფლება ჯანმრთელობაზე“



„თანადგომას“ ბენეფიციარები და თანამშრომლები გამოფენაზე

ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის საკითხებზე სათემო და სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის

„თანადგომას“ ექსპერტებმა აივ ინფიცირებული MSM- ისთვის შეიმუშავეს CBT მოდული. ბათუმსა და ქუთაისში რვა ფსიქოლოგი მომზადდა CBT კურსების ჩასატარებლად. გარდა ამისა, „თანადგომამ“ დაგეგმა უნარების გაძლიერების ტრენინგები სათემო მრჩეველთა საბჭოსთვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პროგრამების უკეთ დაგეგმარების მიზნით.

ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხებზე ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევების ჩატარება

2017 წლის განმავლობაში, თანადგომამ ორი კვლევა ჩაატარა სამიზნე ჯგუფებში, რომლებიც განხორციელდა, ძირითადად, არსებული ხარვეზებისა და საჭიროებების შეფასების მიზნით:

ა) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის შესაძლებლობების გაზრდა პატიმრების, ყოფილი პატიმრების და პრობაციონერებისთვის“ ფარგლებში, „თანადგომამ“ და მისმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა RIVG (ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია) და „Mainline“ (ჰოლანდიური არასამთავრობო ორგანიზაცია) ჩაატარეს კვლევა „პენიტენციურ დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში ე.წ. „გარდამავალი მენეჯმენტის“ პროცესის შეფასება“. კვლევის პირველი ნაწილი იყო საქართველოს კანონმდებლობის შესწავლა და გარდამავალი მენეჯმენტის პროცესის შეფასება ხარისხობრივი კვლევის გზით. კვლევის ეს ნაწილი ჩაატარა „თანადგომამ“ და RIVG-მა. კვლევის მეორე ნაწილი კი წარმოადგენდა ევროპაში არსებული „გარდამავალი მენეჯმენტის“ საუკეთესო მაგალითების მიმოხილვას და ანალიზს, რაც ჩატარდა Mainline-ის მიერ. დასკვნები და რეკომენდაციები წარდგენილი იქნება საადვოკაციო შეხვედრებზე, შემდგომში კი დამტკიცებული იქნება შესაბამისი სტრუქტურების მიერ და გამოქვეყნდება 2018 წელს.

ბ) "Bridging the Gaps" პროექტის ფარგლებში, AFEW-სთან ერთად „თანადგომამ“ ჩაატარა ხარისხობრივი კვლევა „ნიმ-ებშიმკურნალობისა და რეაბილიტაციის საჭიროებებისა და ხარვეზების კვლევა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის შერჩეულ ქვეყნებში“. კვლევის ანგარიშის გამოქვეყნება დაგეგმილია 2018 წელს.

სტრატეგიული მიზანი 3

ორგანიზაციის ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფა სისტემების გაუმჯობესების, ადამიანური რესურსების განვითარებისა და დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირების გზით.

2017 წლის განმავლობაში „თანადგომა“ აგრძელებდა ფონდების მოძიების პროცესს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფონდების მოძიების შესაძლებლობები შემცირებულია, რასაც ადასტურებს ბოლო წლებში პოტენციურ დონორებთან წარდგენილი საპროექტო განაცხადების რაოდენობა. შესაძლებლობები შემცირება იწვევს გაძლიერებულ კონკურენციას, შესაბამისად, 2017 წელს შემცირდა ასევე წარმატებული განაცხადების პროპორცია წინა წლებთან შედარებით. წლის განმავლობაში ცხრა ახალი საპროექტო წინადადება წარედგინა სხვადასხვა დონორს (შედარებისათვის: წინა წლებში წარდგენილი იყო 14, 18 და 23 განაცხადი) და მათგან მხოლოდ ოთხმა (44%) მოიპოვა დაფინანსება.

თანამშრომლების კომპოზიციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. ამავე დროს, 2017 წელს არჩეული იქნა ორგანიზაციის ახალი გამგეობა.

ამოცანები

ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მხარდაჭერა

ორგანიზაციული განვითარების პროგრამის მიზანი იყო პერსონალის შეფასება და განვითარების საჭიროებების შეფასება, თუმცა, 2017 წლისთვის საჭირო იყო არსებული პროცედურების გადახედვა-განახლება (იხ. ორგანიზაციული სისტემების გადახედვა და გაუმჯობესება სათანადო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად), რის გამოც ეს საქმიანობა გადაიდო განსახორციელებლად 2018 წლისთვის.

სხვადასხვა შიდა და გარე ტრენინგებში მონაწილეობის გზით „თანადგომას“ თანამშრომლებმა გამოიყენეს არსებული შესაძლებლობები თავიანთი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ასამაღლებლად. ასევე, ზოგიერთმა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო რეგიონულ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და კონფერენციებში, როგორცაა "საზაფხულო სკოლა საბიუჯეტო ადვოკაციის შესახებ"; ბერლინის კონფერენცია ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების შესახებ „**SE:LFIE - Sexuality Education: Lessons Learned and Future Developments in the WHO European Region**“ და ა.შ.

2017 წლის ბოლოს „თანადგომამ“ ჩაატარა ორგანიზაციული განვითარების ღონისძიება თანამშრომლებისთვის. აღნიშნული ღონისძიების ჩატარება ემსახურებოდა რამდენიმე მიზანს: სტრატეგიული მიმართულებებისა და ორგანიზაციის საერთო ხედვების უკეთ გაცნობა თანამშრომლებისთვის, სრულ საკითხებზე და აქტივობებზე უკეთ ორიენტირება ისე, რომ ყველა თანამშრომელი ხედავდეს მთლიან ორგანიზაციულ სურათს და შეეძლოთ გუნდური მუშაობა. აღნიშნულმა ღონისძიებამ დიდი მოწონება დაიმსახურა

„თანადგომას“ თანამშრომლებში და უმრავლესობამ გამოთქვა კმაყოფილება მიღწეული შედეგების შესახებ.

2017 წლის განმავლობაში „თანადგომაში“ გაგრძელდა სტაჟირების პროგრამა. სტაჟირება გაიარა შვიდმა სტუდენტმა თბილისის სახელმწიფო და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსების შენარჩუნება, განახლება და მხარდაჭერა

სტრატეგიული მიმართულება 3-ის მეორე ამოცანა ეხება რესურსების შენარჩუნებასა და განახლებას. 2017 წლის განმავლობაში „თანადგომამ“ შეძლო თბილისის ოფისის სახურავის შეკეთება, განახლდა ზოგიერთი ტექნიკური რესურსი, როგორცაა მანქანა და კომპიუტერები. მოხდა ადმინისტრაციისა და ადმინისტრაციული ხარჯების მხარდაჭერა.

ორგანიზაციული სისტემების გადახედვა და გაუმჯობესება სათანადო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად

2017 წელს „თანადგომამ“ ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით რამდენიმე სახის საკონსულტაციო ინიციატივა წამოიწყო, ასევე მოხდა ადამიანური რესურსების მართვისა და ფინანსური მართვის შიდა პროცედურების გადახედვა. საბოლოო ჯამში, 2017 წლის ბოლოსთვის ადამიანური რესურსების შიდა რეგულაციები დასრულდა, თუმცა ეკონომიკურ საქმიანობასა და ფინანსურ პროცედურებთან დაკავშირებით პროცესი გაგრძელდა და დასრულდება 2018 წელს.

გარდა ამისა, „თანადგომამ“ გარკვეული ნაბიჯები გადადგა მარაგების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, შემუშავდა მარაგების მართვის რეგულაციები, გადაიხედა და განახლდა მარაგების მართვის მონაცემთა ბაზა.

პარტნიორობა და ქსელები

2017 წლის განმავლობაში „თანადგომამ“ აგრძელებდა თანამშრომლობას არსებულ პარტნიორ ორგანიზაციებთან და ქსელებთან. ასევე, დამყარდა რამდენიმე ახალი თანამშრომლობაც:

- „სწავლება ცვლილებებისთვის“ ქსელის ფარგლებში, „თანადგომამ“ გააძლიერა თანამშრომლობა RFSU-ს პარტნიორ ორგანიზაციებთან სხვა რეგიონებიდან და ქვეყნებიდან. ეს პლატფორმა უზრუნველყოფს ფართო შესაძლებლობებს ორმხრივად

სასარგებლო თანამშრომლობისთვის, გამოცდილების გაზიარებისთვის, ერთობლივი კვლევების წარმოებისთვის და ა.შ.

- „თანადგომა“ მიიწვიეს წევრად პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო საბჭოში (PAAC), რომელიც ფუნქციონირებს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში. ეს პლატფორმა ხელს შეუწყობს „თანადგომას“ საადვოკაციო ინიციატივებს აივ ინფექციის პრევენციის პროგრამების გლობალური ფონდიდან ეროვნულ დაფინანსებაზე გადასვლის პროცესში.

„თანადგომა“ კვლავ რჩება არაერთი ეროვნული და რეგიონული ქსელის, კოალიციის, პლატფორმისა და საბჭოს წევრად, როგორებიცაა ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი, საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, კოალიცია რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებებისათვის და სხვ. „თანადგომა“ ასევე აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას უკრაინის, ყაზახეთის, რუსეთის, ბელარუსის, მოლდოვას, სომხეთის, აზერბაიჯანის და რეგიონის სხვა ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებასა და სათემო ორგანიზაციებთან.



„თანადგომა“ მონაწილეობას იღებს „სწავლება ცვლილებებისთვის“ ქსელის ფორმირებაში

2017 წლის ფინანსური ანგარიში

საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები გამოხატულია ლარში	ლარი
შემოსავლები	სულ
შემოსავლები კომერციული საქმიანობიდან	7,790
შემოსავლების ფონდების მოძიებიდან	3,453,140
სხვა არაფულადი შემოწირულობები	-
სულ შემოსავლები	3,460,930
ხარჯები	
საოპერაციო ხარჯები	3,449,767
ცვეთის/ამორტიზაციის დანახარჯები	49,441
სულ ხარჯები	3,499,208
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა პროფიტი/დეფიციტი	-38,278
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები/ხარჯები	
შემოსავლების პროცენტიდან	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	62,834
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-61,400
წმინდა პროფიტი/დეფიციტი დაბეგვრამდე	-36,844
მოგების გადასახადი	0
პროფიტი/დეფიციტი გადასახადის შემდეგ	-36,844

შემოსავლები

შემოსავლები ფონდების მოძიებიდან	ლარი	2017 წელი %
RFSU	518,253	15.0%
Caritas CZK	12,760	0.4%
UNFPA	60,467	1.7%
Curatio International Foundation/GFATM	55,257	1.6%
AFEW	113,850	3.3%
GFATM	1,565,488	45.2%
Solidarite SIDA	32,070	0.9%
GYLA/EU	86,118	2.5%
EU (ENI/2016/378-340)	253,343	7.3%
ADA/Caritas Austria	13,085	0.4%
ISTC/IDACIRC	2,570	0.1%
HAPSFUND/GFATM	13,439	0.4%
Alliance for Public Health/GFATM	235,661	6.8%
EU (ENI/2016/381-373)	483,050	14.0%
შემოწირულობები	5,000	0.1%
საწევრო შენატანი	2,730	0.1%
სულ	3,453,140	99.8%
შემოსავლები კომერციული საქმიანობიდან	7,790	0.2%
სულ	3,460,930	100.0%

საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

თანხები გამოხატულია ლარში

საბალანსო უწყისი	31-12-16	31-12-17
აქტივები		
ფული და მისი ექვივალენტები	973,222	141,356
დებიტორული დავალიანება	192,141	629,930
მატერიალურ-საწარმოო მარაგები	17,601	21,011
წინასწარ გადახდილი გადასახადები	68,404	88,447
წინასწარი გადახდები	3,180	70,345
სულ მიმდინარე აქტივები	1,254,548	951,091
ძირითადი საშუალებები	325,485	349,028
არამატერიალური აქტივები	2,292	1,948
სულ გრძელვადიანი/არამიმდინარე აქტივები	327,777	350,977
სულ აქტივები	1,582,325	1,302,067
ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	145,385	142,213
გადასახადის ვალდებულებები	23,990	43,153
ვალდებულებები დონორების მიმართ	1,260,872	1,028,416
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,430,247	1,213,782
დაგროვილი სახსრები		
შეზღუდული ფონდები	285,023	305,813
შეუზღუდავი ფონდები	-132,945	-217,527
სულ დაგროვილი სახსრები	152,078	88,285
სულ ვალდებულებები და დაგროვილი სახსრები	1,582,325	1,302,067